

## თეა ტეტელოშვილი

### „-მე“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ბუნებრივი ენა მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ამ ცვლილებათაგან ზოგი გარკვეული პერიოდის განმავლობაშია აქტიური, ენაში ფეხს ვერ იკიდებს და შემდეგ ქრება, ზოგი კი – მკვიდრდება. თანამედროვე ქართულში მოქმედი ტენდენციის გამოვლენის მიზნით ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა **-მე** ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება, რისთვისაც მივმართეთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლის სამიებო სისტემას. მიღებული მონაცემების საფუძველზე გავანალიზეთ **-მე** ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

როგორც ცნობილია, **-მე** ნაწილაკი დაერთვის ნაცვალსახელებს – **ვინ, რა, რომელი, რამდენი** და ვიღებთ ფორმებს: **ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე**. მათი ბრუნებისათვის გამოყოფენ სამ სახეს: (1) შეხორცებულს, როდესაც ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ დაერთვის სიტყვაფორმას, (2) შეუხორცებელს, როდესაც ნაცვალსახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას დაერთვის ნაწილაკი და (3) ნარევს, როდესაც ნაცვალსახელი უკვე დგას რომელიმე ბრუნვაში, ერთვის ნაწილაკი და ამგვარი ნაწილაკდართული ფორმა კვლავ იბრუნვის. აღნიშნული სახეებიდან, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, **-მე** ნაწილაკიანი ნაცვალსახელებისათვის მართებულად მიჩნეულია შეხორცებული ბრუნება, დასაშვებად – შეუხორცებელი, ხოლო ნარევი – უფლებელყოფილია [ნორმები 1986: 87].

მეტი სიცხადისათვის ნაცვალსახელების მიხედვით წარმოვადგენთ ჯერ სალიტერატურო ენისთვის მისაღებ (ან დასაშვებ) ვარიანტებს, შემდეგ კი – ზემოხსენებული კვლევის შედეგებს.

#### I. ვინმე

„ვინმე“ ნაცვალსახელის ბრუნებისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, ნორმების თანახმად, ძირითადია, მაგალითად, (მიც.) **ვინმეს** და (ნათ.) **ვინმეს(ი)** ფორმები, ხოლო დასაშვებია – (მიც.) **ვისმე** და

(ნათ.) **ვის...მე, ვის(გან)მე.** „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **ვინმე** ნაცვალსახელის ბრუნება წარმოდგენილია შემდეგნაირად: **ვინმე:** მოთხრ. **ვინმემ,** მიც. **ვინმეს** [// ვისმე], ვითარ. **ვინმედ,** ნათ. **ვინმეს** [// ვისიმე], მოქმ. **ვინმეთი;** მრ. **ვინმეები** [ქელოი 1998: 277].

ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის საძიებო სისტემის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენისათვის ძირითადად მიჩნეული ფორმების გამოყენების შემთხვევები დიდად აღემატება დასაშვებ ფორმათა მაჩვენებლებს. კერძოდ,

|  | <b>ქეეკ-ის მონაც.* გუგლის მონაც.</b> |         |
|--|--------------------------------------|---------|
| <b>ვინმეს</b> მეტია <b>ვისმე</b> -ზე         | 26-ჯერ                               | 103-ჯერ |
| <b>ვინმესგან</b> მეტია <b>ვისგანმე</b> -ზე   | 8-ჯერ                                | 10-ჯერ  |
| <b>ვინმესთვის</b> მეტია <b>ვისთვისმე</b> -ზე | 18-ჯერ                               | 25-ჯერ  |

### **მაგალითები:\*\***

#### **ვინმეს**

და ნაკლებად **ვინმეს** თუ გაახსენდება საკურორტო ქალაქი, ან უფრო მეტიც – გრანდიოზული ეკოლოგიური პროექტი „ბორჯომ-ხარაგაულის ნაციონალური პარკი“.

თუ ჩვენ 21-ე საუკუნეში დავუშვებთ, რომ არსებობდეს იდეოლოგია – საკუთარ სახლში დაბრუნების უფლება **ვინმეს** მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის გამო არ მისცენ, ეს იმას ნიშნავს, რომ...

#### **ვისმე**

...მაგრამ არა მგონია ზემოთ მოყვანილი მოგონილი სათაურები ბევრს **ვისმე** შეაცდენდეს.

ოდესღაც ეს ნაწარმოებები, თავისი დამახასიათებელი სცენებით, შეიძლებოდა, **ვისმე** მოქეიფეთა „თანამონაწილეებადაც“ კი წარმოედგინა.

---

\* მონაცემებს ამ და ყოველი შემდეგი შემთხვევისთვის წარმოვადგენთ მიახლოებითი დამრგვალებით.

\*\* საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან. მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

## **ვინმესგან**

უნდა მოგახსენოთ, რომ არა ვარ ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ჩვეული და არც ვაპირებ **ვინმესგან** მსგავსი ცილისწამება მოვითმინო.

...სიცოცხლე თუნდაც იმად ღირს, ეს სიტყვები **ვინმესგან** ერთხელ მაინც მოისმინო.

## **ვისგანმე**

ამოცინცვლა რისამე გნებავთ **ვისგანმე**...  
იმედია, ისე არავინ გამიგებს, თითქოს თამაზ ჩხენკელს **ვისგანმე** ან რისგანმე ვიცავდე.

## **ვინმესთვის**

არავის უფიქრია, რომ ამ გმირების შესახებ ინფორმაცია **ვინმესთვის** დაემალა.  
მათ არ ჰქონდათ უფლება რაიმე მასალა, მათ შორის ფოტოები გადაეცათ **ვინმესთვის**...

## **ვისთვისმე**

მე არ ვიცი, თუ ჩემი სახელი და გვარი გითქვიათ **ვისთვისმე**, ყველას, თქვენცა და თქვენს ახლობლებს, ამოგწყვეტენ და გადაგიწვავენ სახლკარს.

არამც თუ არ ცდილობდა მოეხვეჭა სხვისაგან, წაერთმია **ვისთვისმე**...

თანამედროვე ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც, ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება **ვინმე** ფორმის კვეცის შემთხვევები (ვინმის). თუ ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ასეთი მხოლოდ ერთი მაგალითი აღმოჩნდა, გუგლის სამიებო სისტემამ 400-ზე მეტი იპოვა. აღნიშნული ტენდენცია, სავარაუდოდ, ფორმის – **რამის** (< რამე) – ანალოგიითაა გამოწვეული და, როგორც წიგნიერი მეტყველებისთვის უცხო, **უარსაყოფია**.

მაგ., „გეუბნები, ადამიანის ყველაზე მტანჯველი საზრუნავი ისეთი **ვინმის** პოვნაა, ვისაც სასწრაფოდ გადასცემს უნარს თავისუფლებისას, რაც ამ საბრალო არსებას დაბადებით დაჰყვა“...

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ **ვინმე** ნაცვალსახელის შეუხორცებელი ბრუნება ცოცხალ მეტყველებაში თანდათან თმობს ასპარეზს შეხორცებულის სასარგებლოდ. ამას მოწმობს სტატისტიკაც,

თუმცა შეუხორცებელი ბრუნვის ფორმების წიგნიერ დონეზე არსებობა მაინც უჭერს მხარს მათ, როგორც დასაშვები ფორმების, დატოვებას. ყოველივეს გათვალისწინებით „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ჩანაწერში უნდა შევიდეს მხოლოდ ერთი ცვლილება – ნათესაობითში მიეწეროს ფორმის – **ვინმის** – აკრძალვა და მიიღოს შემდეგი სახე:

- ვინმე:** მოთხრ. **ვინმემ**, მიც. **ვინმეს** [//ვისმე], ნათ. **ვინმეს** [//ვისიმე] [და არა ვინმის], მოქმ. **ვინმეთი**, ვითარ. **ვინმედ**; მრ. **ვინმეები**.
- ასევე:** **ვინმესგან** [//ვისგანმე]  
**ვინმესთვის** [//ვისთვისმე]

## II. რამე

„რამე“ ნაცვალსახელის ბრუნებისთვისაც, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, ძირითადად მიიჩნევა, მაგ.: მიც. **რამეს**, ნათ. **რამეს(ი)** // **რამის**, მოქმ. **რამეთი** // **რამით**, ვითარ. **რამედ**, ხოლო დასაშვებად: მიც. **რასმე**, ნათ. **რის..მე (რისგანმე)**, **რისამე**, მოქმ. **რითმე**, **რითიმე**, ვითარ. **რადმე** [ნორმები 1986: 90]. **რამე** ნაცვალსახელის პარალელურად დამოუკიდებლად ხმარებისთვის მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დაშვებულია **რაიმე** და **რამ** ფორმებიც, ხოლო „მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში **რაიმე** დასაშვებია ყველა ბრუნვაში“ [ნორმები 1986: 88]. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **რამე** ნაცვალსახელი წარმოდგენილია შემდეგნაირად: **რამე** // **რამ** (// რაიმე); მოთხრ. **რამემ**, მიც. **რამეს** (// რასმე), ვითარ. **რამედ** // **რადმე**, ნათ. **რამეს** // **რამისა** (// რისამე), მოქმ. **რამეთი** // **რამით** (// რითმე); მრ. **რამეები** [ქეოლი 1998: 425].

ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის საძიებო სისტემის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენისათვის ძირითადად მიჩნეული და დასაშვები ფორმების გამოყენების შეფარდება შემდეგნაირია:

|  | ქეეკ-ის მონაც. | გუგლის მონაც. |
|--|----------------|---------------|
| <b>რამეს</b> მეტია <b>რასმე-ზე</b>         | 12-ჯერ         | 59-ჯერ        |
| <b>რამისგან</b> მეტია <b>რისგანმე-ზე</b>   | 8-ჯერ          | 28-ჯერ        |
| <b>რამისთვის</b> მეტია <b>რისთვისმე-ზე</b> | 25-ჯერ         | 58-ჯერ        |

**რამეთი // რამით** მეტია\*\*\*

**რითმე // რითიმე**-ზე

6-ჯერ

23-ჯერ

**რამედ** მეტია **რადმე**-ზე

10-ჯერ

7-ჯერ

### **მაგალითები:**

- რამეს** ქართველი ხალხი მხოლოდ ერთ **რამეს** მოითხოვს, მათ სურთ ნორმალურ პირობებში იცხოვრონ.  
ახლანდელ სახელმძღვანელოებში ასეთ **რამეს** ვერ ნახავთ.
- რასმე** ...თუკი ჩვენ ამ პიესაში ანტიკურობის პრინციპებს დავარღვევთ..., სულ სხვა **რასმე** მივიღებთ.  
...ახლისმადიებელი შემოქმედი კიდევ ბევრს **რასმე** მოიხელთებდა, რომ დასცლოდა.
- რამისგან** რას იზამ, ასეთი **რამისგან** არავინაა დაზღვეული.  
...დაცული ტერიტორია თავის თავში გულისხმობს ბევრი **რამისგან** დაცვას.
- რისგანმე** ...უცრად დღეს ისევ გამოჩნდა, ხომ არ სურდა **რისგანმე** გავეფრთხილებინე?  
იმედია, ისე არავინ გამიგებს, თითქოს თამაზ ჩხენკელს ვისგანმე ან **რისგანმე** ვიცავდე...
- რამისთვის** კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ხალხს უჩნდება ეჭვი, რომ ჩვენ მშვიდობიან გზაზე ვსაუბრობთ, მაგრამ სხვა **რამისთვის** ვემზადებით.  
„ინჟმენში“ ვმუშაობ და, იმდენად დაკავებული ვარ, რომ სხვა **რამისთვის** ვერ ვიცლი.
- რამეთი // რამით** **რამეთი** უკმაყოფილო რომ ყოფილიყო, აქამდეც ხომ გვეტყოდა.

---

\*\*\* ჯამური რიცხვი იგულისხმება.

ფერწერის ამ საქვეყნოდ ცნობილი შედეგის გარდა ლეონარდო ბევრი სხვა **რამით** იყო ცნობილი.

**რითმე // რითიმე** ზოგმა თავი რომ გაირთოს, დრო გალიტოს **რითმე...**

ისეთ პოზას იღებენ, თითქოს ცუდი ჟურნალისტი ან ცუდი დეპუტატი **რითიმე** სჯობდეს კარგ მეწადეს ან კარგ პოლიციელს.

**რამედ** ნურც გოგონას სიმდიდრეს ჩააგდებთ დიდ **რამედ**.

ეს შეიძლება კონტინენტზე არცთუ მნიშვნელოვან **რამედ** ჩანდეს...

**რადმე** ინდოეთის კარზე ეს სავსებით მიღებული (თავისთავად ცხად **რადმე** ნაგულისხმევი) ნორმაა.

ის, რაც (თავისუფლების) მძლავრ მექანიზმად გამოიყურება, შესაძლებელია პრაქტიკაში ფრიად გაურკვეველ **რადმე** გვევლინებოდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში შეკვეცილი ფორმების გამოყენების სიხშირე დიდად აღემატება შეუკვეცილი ფორმებისას. ხაზგასასმელია ისიც, რომ **რამიმე** ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში თანდათან იფართოვებს გამოყენების არეს და, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დამოუკიდებელი ხმარებისას იგი სხვადასხვა ბრუნვაში საკმაოდ ხშირად გვხვდება აკრძალული ვარიანტის კვალობაზე. მაგალითად, მიცემითა და მოქმედებით ბრუნვებში იგი ნორმატიული **რამიმე**-ს ფორმებს საშუალოდ 4-4,5-ჯერ ჩამორჩება. ეს მაშინ, როდესაც დაშვებულად მიჩნეული შეხორცებული ბრუნვის ფორმები ძირითადად ზოგჯერ უფრო მეტჯერ ნაკლებია. ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, საჭიროებს გათვალისწინებას და, შესაბამისად, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ჩანაწერების კორექტირებას.

### III. რომელიმე

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, **რომელიმე** ნაცვალსახელისთვისაც, როგორც უკვე ითქვა, ძირითადია შეხორცებული, ხოლო დასაშვები – შეუხორცებელი ბრუნების ვარიანტები. აღნიშნული მიდგომა ასახულია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“: **რომელიმე**: მოთხრ. **რომელიმემ**, მიც. **რომელიმეს** (// რომელსამე), ვითარ. **რომელიმედ**, ნათ. **რომელიმეს** (// რომლისამე), მოქმ. **რომელიმეთი**... [ქელოი 1998: 430].

ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის სამიეზო სისტემის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენისათვის ძირითადად მიჩნეული და დასაშვები ფორმების გამოყენების შეფარდება შემდეგი სახისაა:

#### ქეკ-ის მონაც. გუგლის მონაც.

|  |       |        |
|--|-------|--------|
| <b>რომელიმეს</b> მეტია <b>რომელსამე</b> -ზე    | 2-ჯერ | 9-ჯერ  |
| <b>რომელიმეს(ი)</b> მეტია <b>რომლისამე</b> -ზე | ≈     | 47-ჯერ |

#### მაგალითები:

- რომელიმეს** აქედან **რომელიმეს** უგულუბელყოფა მდგრად განვითარებას გამორიცხავს. პრინციპში, საეჭვოა, ხელისუფლების წარმომადგენელთაგან **რომელიმეს** მაინც გასჩენოდა იმის ილუზია, რომ...
- რომელსამე** გაზეთ „თბილისის“ ნომრებს დროდადრო თან ახლავს ჩანართი ფურცელი, რომელიც ან მნიშვნელოვან მოვლენას ეძღვნება, ან **რომელსამე** თარიღს ეხმაურება. ...ჯერ არავის მოფიქრებია დაედგინა და გამოექვეყნებინა „ათი ყველაზე პატიოსანი კაცის“ სია – ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში ან, თუნდაც, **რომელსამე** კონტინენტზე!
- რომელიმესი** როცა გაირკვევა, რომ 240 სამედიცინო დასკვნიდან **რომელიმესი** არაზუსტია, ამ ადამიანებს ჩვენი მხრიდან ბოდიშს მოვუხდით...

დებატები სწორედ იმან გამოიწვია, რომ ულტიმატუმში შესული უკლებლივ ყველა საკითხის შესრულება ყოფილიყო დასმული და არა ერთი **რომელიმესი**.

#### **რომლისამე**

რაც უფრო დაწინაურებულია **რომლისამე** საზოგადოების აზრი და მწერლობა...

ქართველი ერისთვის... დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ძლევა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება **რომლისამე** ერისა.

**რომელიმე** ნაცვალსახელის ბრუნებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტი, ჩვენი აზრით, ამ ეტაპისთვის ცვლილებას არ საჭიროებს.

#### **IV. რამდენიმე**

**რამდენიმე** ნაცვალსახელისთვისაც შეხორცებული ბრუნება შეუხორცებელზე უპირატესად მიიჩნევა, თუმცა შენიშნულია ის, რომ „**რამდენადმე** ფორმა ზმნისართული მნიშვნელობით გაბატონებულიც კია“ [ნორმები 1986: 88]. გარდა იმისა, რომ **რამდენიმედ** და **რამდენადმე** ფორმები ერთი და იმავე ნაცვალსახელის შეხორცებული და შეუხორცებელი ბრუნების ვარიანტებია, ისინი, ჩვენი აზრით, სემანტიკური ნიუანსითაც განსხვავდება, შდრ.:

**რამდენადმე** შეეცადა / შეათბო / შეაკეთა... (= ასე თუ ისე, მცირედით, შეძლებისდაგვარად...)

**რამდენიმედ** დაყო / გაანაწილა / მიიჩნია ... (= რამდენიმე ნაწილად, საგნად და ა. შ.)

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **რამდენიმე** ნაცვალსახელი შემდეგნაირდ არის წარმოდგენილი: **რამდენიმე**: მოთხრ. **რამდენიმემ**, მიც. **რამდენიმეს** (// რამდენსამე), ვითარ. **რამდენიმედ** (// რამდენადმე), ნათ. **რამდენიმეს** (// რამდენისამე), მოქმ. **რამდენიმეთი**... [ქეოლი 1998: 425].

ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის საძიებო სისტემის მონაცემების თანახმად კი ქართული სალიტერატურო ენისათვის ძირითადად მიჩნეული და დასაშვები ფორმების გამოყენების შემდეგნაირი შეფარდება გვაქვს:



|                                   | ქვევ-ის მონაც. | გუგლის მონაც. |
|-----------------------------------|----------------|---------------|
| რამდენიმეს მეტია რამდენსამე-ზე    | 2-ჯერ          | 8-ჯერ         |
| რამდენიმეს(ი) მეტია რამდენსამე-ზე | ≈              | 35-ჯერ        |
| რამდენადმე მეტია რამდენიმედ-ზე    | 116-ჯერ        | 92-ჯერ        |

### მაგალითები:

- რამდენიმეს** მაშინდელი ქართული პრესის მესვეურები დღე-ვანდელი ჟურნალისტებისგან **რამდენიმეს** თუ აიყვანდნენ სამსახურში...  
თიანეთიდან ჩამოსულ ქალბატონს საოჯახო ტურიზმის დაწყება და მეფუტკრეობა-მეცხვარეობის გაფართოება ნდომებია, **რამდენიმეს** – ხალხური რეწვის აღორძინება.
- რამდენსამე** პატივცემული ოპონენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ მოითხოვს პასუხს **რამდენსამე** კითხვაზე. გაჩნდნენ ბიზნესმენები, რომლებიც პურის დამამზადებელ **რამდენსამე** საშუალო საწარმოს ფლობენ.
- რამდენიმეს(ი)** ... ბლოკის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა, გარდა **რამდენიმესი**.  
იმაზე არ ფიქრობს, რომ მარტო ერთის წესიერად აღზრდა გაცილებით რთულია, ვიდრე **რამდენიმესი** ერთად.
- რამდენსამე** თუმცა ეს წესი ისეთი დამღუპველი არ არის, როგორც ერთად სწავლება **რამდენსამე** უცხო ენისა. ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული პირი **რამდენსამე** ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად.
- რამდენადმე** მიიჩნევენ, რომ პოლიციელები ამ განცხადებებზე **რამდენადმე** წააქეზეს კიდეც.

2004 წელთან შედარებით ამ სფეროში სიტუაცია გაუარესდა რუსეთში, ხოლო **რამდენადმე** გაუმჯობესდა ესტონეთსა და ყაზახეთში.

### **რამდენიმედ**

აი, აქ იხსნება ის სახსარი, საცა გრიმაშვილი **რამდენიმედ** მოდერნისტულ პოეზიას უახლოვდება. საქართველოს თითქოს ეხლა უნდა მისცემოდა საშუალება, რომ თავის სხეულის განაწამები ნაწილები **რამდენიმედ** მაინც მოეშუშებია.

სტატისტიკური ანალიზის შესაბამისად, ჩვენი აზრით, **რამდენადმე** თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმად უნდა მივიღოთ **რამდენიმედ** ფორმის გვერდით, მითუმეტეს, რომ რაოდენობრივად მისი გამოყენება გაცილებით სჭარბობს ამ უკანასკნელს. სხვა მხრივ, ვფიქრობთ, არაფრის შეცვლა არაა საჭირო ორთოგრაფიული ლექსიკონის ზემოთ დამოწმებულ ჩანაწერში.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სხვა ნაწილაკებიან ნაცვალსახელთა ბრუნების საკითხიც არანაკლებ საინტერესოდ გვესახება ენობრივი ტენდენციის გამოვლენისა და მოქმედი სტანდარტის გადახედვის თვალსაზრისით. ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი ანალიზი ხელს შეუწყობს ორთოგრაფიულ ლექსიკონებზე მუშაობას.

### **ლიტერატურა და წყაროები**

**გუგლი** – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>  
**ნორმები 1986** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

**ქეიკი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:  
<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=gnc>

**ქეოლი 1998** – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

Tea Teteloshvili

## On Spelling Pronouns Containing the Particle *-me* in Modern Georgian

### Summary

A natural language constantly changes. Some of these changes are active for a certain period of time and then disappear while others establish in a language. In order to detect the current tendency in modern Georgian we get interested in the declension of the pronouns containing the particle *-me*. For this purpose we used Georgian National Corpus and Google search engine. On the bases of processing the material we analyzed the issues of spelling related to the declension of the pronouns containing the particle *-me* (*vinme*, *rame*, *romelime*, *ramdenime*). The research revealed the following:

1. Regarding the pronoun *vinme* merely one change should be made in the Georgian Orthographic Dictionary, in particular, there should be written that the form in the possessive case *vinmis* is prohibited.
2. When declining the pronoun *rame* in the possessive and instrumental cases the frequency of the use of the contracted forms exceeds the use of the uncontracted forms. In addition, the pronoun *raime* can be often found in different cases when used independently and, for example, in the dative and instrumental cases its use is 4-4.5 times less than the use of the forms of the normative *rame*. That's when the case forms considered to be admissible are far less than the basic forms. We think that all the recommendations should be taken into account.
3. According to the research the standard about the declension of the pronoun *romelime* does not require any changes at this stage.
4. We think that the form in the equative case *ramdenadme* of the pronoun *ramdenime* should be considered as an equal parallel form along with the form *ramdenimed* as it is statistically used much more frequently than the latter. As for the spelling of the said pronoun, we think that there is no need to change anything.